ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ო ქ მ ი №01-06/22

დაბა ქედა, **5 დეკემბერი, 2022 წელი**

სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე;
სხდომა დამთავრდა: 16:30 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან ესწრებოდა 18.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ვაჟა აბულაძე - სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
ამირან წულუკიძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
დავით სირაბიძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
რომან დავითაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
ლევან ვერძაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მზია ბოლქვაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი მახარაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
მამუკა გოგოლიშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ჰამიდა ზოიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/22 რიგგარეშე სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

5 დეკემბერი, 2022 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დღის წესრიგის წარდგენამდე საკრებულოს წევრების ერთად წუთიერი დუმილით პატივი მიაგო უკრაინა-რუსეთის ომში დაღუპულ ხუთი ქართველი მებრძოლის ხსოვნას.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ერთი წელია რაც ახალი მოწვევის საკრებულოა და ზოგჯერ ხდება ადგილობრივი ბიუჯეტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და ზოგჯერ 1 საათის შუალედში უწევდათ საკრებულოს წევრებს მისი მიღება, მისივე განცხადებით (ფრაქციის აზრით) დღევანდელი ცვლილებების შესახებ მუნიციპალიტეტის არცერთმა მცხოვრებმა არ იცის. ბიუჯეტი არის ხალხის და მათ უნდა შეეძლონ საკუთარი წინადადებების წარმოდგენა.

საკრებულოს თავჯდომარემ განმარტა, რომ ბიურო განსაზღვრავს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ვადებს და აუცილებლობიდან გამომდინარე შესაძლებელია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გარეშე მისი სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ დასამტკიცებლად წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის №01-06/22 რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **,,,ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. **ინფრასტრუქტურული/კეთილმოწყობითი სამუშაოების გამო, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული ობიექტების აღების, (დემონტაჟის), განადგურების შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის პირობების განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი უყარა.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 3 (დავით სირაბიძე, ირაკლი მახარაძე, შორენა კარანაძე)

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის №01-06/22 რიგგარეშე სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დავით სირაბიძემ განაცხადა, რომ ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კენჭისყრის პროცესში მონაწილეობას არ მიიღებდა და მხარს არ დაუჭერდა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების გარეშე 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიში ცვლილებებს, ამიტომ პროტესტის ნიშნად დავით სირაბიძემ, ირაკლი მახარაძემ და შორენა კარანაძემ სხდომა დატოვეს (16:15 სთ).

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი: N12-95223391-95; თარიღი: 05.12.2022 წელი) და წარმოადგინა ცვლილებების რეესტრი შემდეგი სახით:

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	თანხა -/+	შენიშვნა
1		დამატებთი ღირებულების გადასახადი	300,000	წერილი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 04-03/109701 01.12.2022
2	05 04 02	კულტურული ღონისძიება	26,700	საქონელი და მომსახურება 23300 ლარი, არაფინანსური აქტივები 3400 ლარი
	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	60,000	არაფინანსური აქტივები
		ჯამი	386,700	
№	**პროგრამული კოდი**	**ასიგნებების დასახელება**	**თანხა +/-**	**შენიშვნა**
1	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	60,000	საქონელი და მომსახურება (5% ბრძანება #94.942232515 21.11.2022)
2	01 02 01	სარეზერვო ფონდი	20,000	სარეზერვო ფონდი

3	05 04 02	კულტურული ღონისძიება	198,510	1000 ლარი საქონელი და მომსახურებიდან სხვა ხარჯებში
4	06 02 12	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება.	3,000	მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე აღნიშნულ ღონისძიებაში საჭიროა თანხის დამატება
5	06 01 06	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	20,000	
6	01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	0	სოციალური უზრუნველყოფიდან საქონელი და მომსახურებაში 3 740
7	02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	0	არაფინანსურიდან სხვა ხარჯებში 22000
8	04 01 01	ა.ა.ი.პ. ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	შრომისანაზღაურებიდან სოციალურიში 2850 ლარი
9	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	0	არაფინანსურიდან საქონელი და მომსახურეობაში 28100
		ასიგნებების ჯამი	301,510	X
		ს ხ ვ ა ო ბ ა	85,190	X

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:დ-95.95223391, 05.12.2022 წელი).

2. მოისმინეს: ინფრასტრუქტურული/კეთილმოწყობითი სამუშაოების გამო, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული ობიექტების აღების, (დემონტაჟის), განადგურების შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის

პირობების განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა სულიკო ბოლქვაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა ინფრასტრუქტურული/კეთილმოწყობითი სამუშაოების გამო, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩაზე არსებული ობიექტების აღების, (დემონტაჟის), განადგურების შემთხვევაში, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კომპენსაციის ოდენობისა და გაცემის პირობების განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი. (წერილის ნომერი: N12-95223396, 05.12.2022 წელი) და განმარტა, რომ 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დაბა ქედაში, შ. რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში დაიგეგმა კეთილმოწყობითი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიების მოწესრიგებას (მოსწორება, მოშანდაკება, ასფალტის საფარის დაგება, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით სათანადო სივრცეების შექმნა და სხვა). პროექტის შესაბამისად, სამუშაოების შესყიდვის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2022 წლის 21 აპრილს, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას შპს „მ.მ"-თან 2022 წლის 14 ივნისს გაფორმებულია ხელშეკრულება N110 რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 998 879,94 ლარს.

პარტნიორმა კომპანიამ სამუშაოები დაიწყო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში. სამშენებლო ტერიტორია, სადაც უნდა ჩატარებულიყო კეთილმოწყობითი სამუშაოები, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მძიმე ეკონომიკური პირობების გამო, დაკავებული ქონდათ არამართლზომიერად ზემოთაღნიშნული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მობინადრეებს და მასზე განთავსებული ქონდათ მათ მფლობელობაში არსებული ქონება, კერძოდ: შენობანაგებობები, ფრინველის და პირუტყვის სადგომები, სათავსოები, საშეშეები. დაკავებული მიწის ნაკვეთები, სადაც დარგული იყო მრავალწლიანი ნარგავები (ხეხილი) და ერთწლიანი კულტურები ბოსტნეულის სახით, დღემდე გამოიყენებოდა იქ მცხოვრები ოჯახების მიერ, მატერიალური შემოსავლის მისაღებად.

ვინაიდან ზემოთაღნიშნული შენობა-ნაგებობები და დაკავებული მიწის ნაკვეთები ხელს უშლიდა სამუშაოების წარმოებას, საჭირო გახდა მათი დაშლა და განადგურება, რამაც გამოიწვია იქ მცხოვრები მოსახლეობის მატერიალური ზიანი და მოითხოვენ ზარალის ანაზღაურებას, რაზედაც მიღებულია 29 ქონების მფლობელის წერილობითი განცხადება.

ასევე, სულიკო ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ შემოსულ განკარგულების პროექტის მე-6 მუხლში ,, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ან მისი მოთხოვნის შედეგად, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის ან შესაბამისი ნებართვითვის გარეშე აშენებული ფარდულის ტიპის შენობის - (საქათმე, საშეშე) დემონტაჟისას, მის მფლობელზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცეს კომპენსაცია კაპიტალურზე 1 კვ.მ.-ზე 20 (ოცი) ლარის ოდენობით, ხოლო არაკაპიტალური 1 კვ.მ.-ზე 15 (თხუთმეტი) ლარი'' შესულიყო ცვლილება და ყოფილიყო შემდეგი სახით ,,ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ან მისი მოთხოვნის შედეგად, დაბა ქედა, შოთა რუსთაველის ქუჩა N13 და N15-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ორგანოს მიერ გაცემული სამართლებრივი აქტის ან შესაბამისი ნებართვითვის გარეშე აშენებული ფარდულის ტიპის შენობის - (საქათმე, საშეშე) დემონტაჟისას, მის მფლობელზე, მოთხოვნის შემთხვევაში, გაიცეს კომპენსაცია კაპიტალურზე 1 კვ.მ.-ზე 25 (ოცდახუთი) ლარის ოდენობით, ხოლო არაკაპიტალური 1 კვ.მ.-ზე 20 (ოცი) ლარი."

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
(განკარგულება **N:გ-95.95223391**, 05.12.2022 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 16 :30 სთ-ზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **ჰამიდა ზოიძე**